



სასჯალის ლიბერალიზაცია და სავატიზაციო სასჯალის ჰუმანიზაცია საქართველოში

თამთა წირქვაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოქტორანტი.

რეზიუმე. მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესში, მართო სასურველი და მიზანშეწონილი კი არა, აუცილებელიცაა დემოკრატიის პრინციპების მეცნიერული საფუძვლების გათვალისწინება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას. 2004 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აშკარა იყო ავტორიტარიზმის და რადიკალიზმის ზეგავლენა, რაც 2013 წლიდან შეიცვალა და დაიწყო სისხლის სამართლის პილიტიკის ლიბერალიზაციის პროცესი. მართალია, ამ პროცესის დაწყებიდან უკვე ცხრა წელი გავიდა, თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მით უფრო, რომ 2015 წლიდან შეინიშნება სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური პოლიტიკის შეფერხება, ცალკეულ მძიმე დანაშაულთა მატების გამო.

საკვანძო სიტყვები: ლიბერალიზაცია, რესოციალიზაცია, ლეგიტიმაცია

შესავალი

მეცნიერებაში არსებობს გავრცობითი და შეზღუდვითი, მაქსიმალისტური და მინიმალისტური თეორიები. ვინაიდან ჩვენს მიზანს დამნაშავის პასუხისმგებლობის გონივრული ლიბერალიზაცია წარმოადგენს, უფრო სწორი იქნება, თუ მაქსიმალისტურ თეორიას დავუჭერთ მხარს, მით უფრო, რომ ევროკავშირი მოგვიწოდებს სისხლის სამართლის ლიბერალიზაციასაკენ, შესაბამისად, უმჯობესია გამოვიყენოთ გავრცობითი განმარტება, ჰერმენევტიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. სახელდობრ, დამნაშავის ქცევა უნდა შევისწავლოთ

ნებისმიერ სოციალურ ნორმებთან მისი მიმართების ფართო კონტექსტში, და არა მხოლოდ ზნეობრივ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში¹.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ სასჯელის ლიბერალიზაციას და დამნაშავეთა მიმართ ჰუმანურ მოპყრობას, რაც გულისხმობს სამართლიან და პროპორციულ სასჯელებსა და დამნაშავეს რესოციალიზაციის შესაძლებლობას, საჭიროა კანონმდებლობაში მოხდეს გარკვეული ცვლილება: 1. ალტერნატიული სასჯელების სფეროს გაფართოება და დახვეწა; 2. სასჯელის პროპორციული მისადაგება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან ლეგიტიმური მეთოდების გამოყენების გზით; 3. ინდივიდუალიზაციის პრინციპისათვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება სასამართლოში; 4. პირობითი მსჯავრის გამოყენების გამიჯვნა საპროცესო შეთანხმებისაგან; 5. პროგრესული მიდგომების დანერგვა სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

ლიბერალიზმი გულისხმობს პოლიტიკისა და სამართლის ლოგიკურ ურთიერთმიმართებას, შესაბამისად, სასჯელის ლიბერალიზაცია მოიცავს ისეთი სანქციების დაწესებას, რომელშიც პროპორციულად იქნება გათვალისწინებული პოლიტიკური და სამართლებრივი კომპონენტები. ამ ორი კომპონენტის თანაზომიერი ურთიერთკავშირი რთული მისაღწევია და ზოგჯერ ფილოსოფიურ სირთულეებში გადაიზრდება. ამიტომ თანაზომიერების ანუ პროპორციულობის დაცვა გარკვეულ სამართალმზომველობით ოპერაციებს საჭიროებს.

სასჯელის ლიბერალიზაცია

უძველეს დროში სასჯელის მთავარ მიზანს დამნაშავესათვის სამაგიეროს მიზღვა წარმოადგენდა. ამას მოწმობს ტალიონის პრინციპის ცნობილი ფორმულაც – „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“². არც ისე დიდი ხნის წინ, ეს მიზანი ჯერ კიდევ იყო დომინანტური რუსეთისა და საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში, რომელიც უპირატესად დაიყვანებოდა დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიებზე. თუმცა დროთა განმავლობაში საზოგადოება განვითარდა და გააცნობიერა, რომ დამნაშავეს მხოლოდ დასჯით შედეგს ვერ მიიღებდა; რომ საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ზოგჯერ საჭირო იყო დამნაშავეს წახალისებაზე ფიქრი. ამ მიდგომას პროფესორი მინდია უგრეხელიძე „სახრისა და სახრავის“³ პოლიტიკას უწოდებს, ანუ, თუ დამნაშავე ორიენ-

1. *წირქვაძე თ.*, ანექტირებული დანაშაული, როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა, სამეცნიერო ჟურნალი „კრიმინოლოგი“, 2020, N 15, 162.
 2. *Lex Talionis* „The Torah – A Modern Commentary, New York: Union American Hebrew Congregations, plaut, 1981., 572; *Hans Kelsen*., Vergeltung und Kausalität., Hague., 1941.
 3. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ის მოიხსენიება როგორც „method of stick and carrot“; რუსულში – „метод кнута и пряника“.

ტირებული იქნება წახალისებაზე სახელმწიფოს მხრიდან, ის ითანამშრომლებს გამოძიებასთან, ხელს აიღებს დანაშაულის დასრულებაზე და ეცდება, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრის სტატუსი დაიბრუნოს. მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული სისტემა კი დამნაშავეს უკარგავს გამოსწორების სტიმულს და პირიქით, უზიძგებს მომავალშიც კრიმინალური განვითარებისაკენ⁴. ამ მიმართულებით საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკა 1999 წლიდან ამოქმედდა და მეთოდურად მიმდინარეობს კოდექსის დახვეწა და განვითარება მისი ლიბერალიზაციის გზით.

მე-18 საუკუნეში არსებობდა „განმანათლებელთა“ მოძრაობა, რომელიც იღვწოდა სასჯელის მიზნის სამაგიეროს მიზღვად გადაქცევის საწინააღმდეგოდ. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ კლასიკური სკოლის მამამთავართან ჩეხარე ბეკარია, რომელიც მიიჩნევდა, რომ სასჯელის მიზანს დამნაშავეს დასჯა კი არა, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის აღკვეთა უფრო წარმოადგენს როგორც უშუალოდ დამნაშავეს მხრიდან, ისე საზოგადოების ნებისმიერი წევრისაგან. ამისათვის კი საჭიროა ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც შთაბეჭდილებას მოახდენს დამნაშავეს სულზე და ნაკლებად მტანჯველი იქნება მისი სხეულისათვის⁵.

სასჯელის მიზნების აღსასრულებლად, აუცილებელია თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდება ხორციელდებოდეს ინდივიდუალურად, იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევას ახასიათებს. ესენია: დამნაშავეს ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლები, გარემო, ოჯახი, ხასიათი, დაზარალებულის დამახასიათებელი თვისებები, სოციალური ფაქტორები, დამნაშავეს პოსტკრიმინალური ქცევა⁶, ბრალის ხარისხი⁷ და ასე შემდეგ. ამას გულისხმობს ზუსტად სასჯელის ინდივიდუალიზაცია, რაც მოსამართლეს აძლევს სასჯელის სფეროში გონივრული არჩევანის თავისუფლებას.

სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე შესაძლებელია იმდენად ემოციურად იყოს განწყობილი ამა თუ იმ პოზიციის მიმართ, რომ ამით ხელი შეეშალოს სასჯელის შეფარდების ლოგიკურ დასაბუთებას. კონკრეტული დანაშაულისათვის

4. ლლონტი გ., კელენჯერიძე ი., დოლიძე თ., ლლონტი ა., შედარებითი სისხლის სამართალი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი, 2022, 30.

5. ბეკარია ჩ., დანაშაულისა და სასჯელისათვის (თარგმანი იტალიურიდან – ხუცყრაული ი.), 2003, თბ., 101.

6. უგრეხელიძე მ., „პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი – სამართალი და მსოფლიო, 2017., N7., 29-39.

7. Ugrekhelidze M., Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zwiertes Deutsch-Sovietisches Kolloquium über Recht und Kriminologie (B2)., “Nomos”- ის გამომცემლობა, ბადენ-ბადენი, გერმანია, 1984; დოლიძე თ., ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები სისხლის სამართალში, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი, 2022, 33-34.

საქმეებზე რადიკალური გადაწყვეტილებების გამოტანა განაპირობებს მოსამართლეების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობას. მისი აზრით, არსებობს უამრავი ნორმა, რომლებზეც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ¹¹. გაიდლაინების სისტემა, რომელიც „უცხო ხილი“ თუ არა, „ახალი სახელწოდებით შეფუთული ძველი ხილი“ მაინც არის საქართველოში, სამდურავსა და კრიტიკასაც ბლომად იმსახურებს სხვა მრავალი მიმართულებით. ცხადია, ეს ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა კრიტიკის გარეშე ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში (განსაკუთრებით, პროფესორი ოთარ გამყრელიძის მხრივ). თუმცა, აქ სულ სხვა თემაზე გვაქვს საუბარი და ამიტომ ამჯერად მას შეგნებულად განვერიდებით.

ლეგიმეტრია ის სასწორია, რომელიც ანტიკურ ბერძნულ ქალღმერთ თემიდას უჭირავს ხელში, შესაბამისად, თუ ჩვენ მოსამართლეს წარმოვიდგენთ თემიდას როლში, ლეგიმეტრია იქნება მისთვის ის ინსტრუმენტი, რომლითაც შეძლებს უზუსტესი გადაწყვეტილების მიღებას, სასჯელის საკმარისი სიზუსტით შეფარდებას, და არ დაეყრდნობა მხოლოდ მის შინაგან რწმენასა თუ შეხედულებებს, რომელიც ყოველ მოსამართლეს შესაძლოა განსხვავებული ჰქონდეს, როგორც ამას ადასტურებს ცნობილი გამოთქმა „სადაც ორი იურისტი, იქ სამი აზრია“.

სასჯელის პროპორციულობა

სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მსჯავრდებულისათვის ისეთი სასჯელის შეფარდებას, რომელიც სასჯელის მიზნებთან თანაფარდობით დამოკიდებულებაში იქნება. იმისათვის რომ განისაზღვროს, პროპორციულია თუ არა სასჯელი, იგი უნდა შეფასდეს მის მიზნებთან შეპირისპირების გზით. პროპორციული სასჯელის სახისა და ზომის შესარჩევად საჭიროა, პირველ რიგში, კანონმდებელმა შეაფასოს დანაშაულის სიმძიმის ხარისხი, რის საფუძველზეც განხორციელდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დიფერენცირება¹², ხოლო შემდგომ მოსამართლემ უნდა შეაფასოს კონკრეტული საქმის გარემოებები, განსაკუთრებით დამნაშავის პიროვნება, და მოახდინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაცია. ეს ყოველივე უნდა განხორციელდეს მორალური და პოლიტიკური მდგენელების ლოგიკური წონასწორობით. მორალური კრიტერიუმი ზნეობრივი, „უნდასმიერი“ კატეგორიაა, რომელიც ორიენტირებულია სამართლიანობის აღდგენაზე. ხოლო პოლიტიკური კრიტერიუმი „მინდასმიერი“, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად სარგებლის

11. *Andrew Ashworth*, Sentencing and Criminal Justice, Fifth Edition, Cambridge University Press, New York., 2010., p. 7.

12. *წერეთელი თ.*, იურიდიული ტერმინოლოგია, თბილისი, 1963, 30.



უთუოდ გასათვალისწინებელი იქნება სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, თუ კონკრეტული მუხლის სანქცია ითვალისწინებს როგორც ჯარიმას, ისე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, და ასევე თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით, რომელი უნდა შეეფარდოს მსჯავრდებულს. თავდაპირველად ლეგიმეტრიულ ხელსაწყოში საწყისი მაჩვენებელი ჩაიწერება 2, ვინაიდან თუ 1-დან 3 წლამდე ითვალისწინებდა კონკრეტული დანაშაული თავისუფლების აღკვეთას, სანქციაში მინიმალური და მაქსიმალური ვადების მითითებით, ეს ციფრები გასაშუალებდა და გამოვა 2 წელი. რომელსაც შემდეგ მიემატება ან გამოაკლდება რიცხვითი მაჩვენებლები შესაბამისი შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. თუ რიცხვითი მაჩვენებელი ჩამოცდება 1 წელს, მოსამართლეს შეეძლება გააკეთოს არჩევანი პროპორციული სასჯელის მიზნის შესაბამისად, ჯარიმასა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას შორის, იმისდა მიხედვით, რომელი მათგანი უფრო ეფექტიანი იქნება სასჯელის მიზნების მისაღწევად.

შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე რიცხვი არ იქნება ყოველ ცალკეულ დანაშაულში. მათ ექნებათ პროცენტული მაჩვენებელი და, შესაბამისად, მათი რიცხვითი მნიშვნელობაც შეიცვლება კანონმდებლის მიერ დადგენილი სანქციების მიხედვით. მაგალითად, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას თუ მივანიჭებთ 1 პროცენტს, 108-ე მუხლის შემთხვევაში მისი რიცხვითი მნიშვნელობა დაახლოებით იქნება 38 დღე, ხოლო 111-ე მუხლის დროს – 7 დღე. ცხადია ეს მაჩვენებლებიც პირობითია.

მსგავსი სახის მეთოდი იყო გამოყენებული სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების მიერ, რომელიც საბჭოს დებულების 2010 წლის 28 ოქტომბრის რედაქციის მე-12 მუხლით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ითვალისწინებდა გარკვეული შეფასებითი კრიტერიუმებისათვის კოეფიციენტების მინიჭებას, რის საფუძველზეც წყდებოდა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი¹⁴.

თავისუფლების აღკვეთის ჰუმანური და

რესოციალიზაციაზე გათვლილი გზა

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ თავისუფლების აღკვეთა ამაღლებს დანაშაულის ჩადენის დონეს და პატიმრობამისჯილი პირი უფრო მეტად ხდება მიდრეკილი კრიმინალისაკენ. ამაზე მოქმედებს ის ფაქ-

14. გურული კ., სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – ლეგიმეტრიული გააზრება, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2017, №6, 53 – 54.

ტორი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ „ნაციხარის“ იარლიყით პირს უჭირს საზოგადოებაში ინტეგრირება, ნორმალური პირობების შექმნა, როგორც ოჯახური, ისე სამსახურეობრივი და სხვა მრავალი, რაზეც საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები მოქმედებს. თუმცა ამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია როგორც ციხეებში მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის პოლიტიკის შეცვლით, ისე საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების გარდაქმნის გზით.

2014 წელს საქართველოში, ამერიკის დაფინანსებით, გაიხსნა თავისუფლების შეზღუდვის პირველი დაწესებულება, რომელიც გარკვეული პერიოდი მუშაობდა და იქ განთავსებულები იყვნენ მსჯავრდებულები, რომლებსაც პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით შეეცვალათ. იმისათვის, რომ მოხდეს სასჯელის მიზნების მიღწევა, აუცილებელია, ციხეები მოეწყოს იმ სტანდარტებთან მიახლოებით, როგორც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში იყო.

ზემოაღნიშნული დაწესებულება აღჭურვილი იყო ძალიან ბევრი მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურითა და სერვისებით, თუმცა მე მხოლოდ იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რასაც ვთვლი, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირის რესოციალიზაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა და ამიტომ ციხეებშიც უნდა დაინერგოს. დაწესებულებაში იყო სხვადასხვა სპორტული მოედანი; სპორტული დარბაზი; სარეაბილიტაციო ცენტრი; ბიბლიოთეკა; სასწავლო ცენტრი, სადაც მსჯავრდებულებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ: ელექტრიკოსის, მეფილე – მომპირკეთებლის, ბუღალტრის; კომპიუტერული ინჟინრის; სტილისტის; მემინანქრის პროფესიებს, კურსის ხანგრძლივობა 1 თვე გრძელდებოდა და მონაწილეებს გადაეცემოდათ შესაბამისი სერტიფიკატები. აღნიშნული კურსები იხსნებოდა მსჯავრდებულთა სურვილის მიხედვით და შესაძლებელი იყო სხვა კურსების გახსნაც, თუ ამის შესაბამისი მოთხოვნა იქნებოდა. ადგილზე მოქმედებდა რკინისა და ხის საამქრო; თაბაშირ-მუყაოს საამქრო; მაკარონის ქარხანა; პურის საცხობი, რომლებშიც დასაქმებულები იყვნენ მსჯავრდებულები და გარკვეულ ანაზღაურებასაც იღებდნენ. გარდა ამისა, ამ დაწესებულებაში შესაძლებელი იყო ფსიქოლოგის მომსახურების მიღება როგორც ინდივიდუალურად, ისე სპეციალურ კურსებზე დასწრებით, როგორებიცაა: მსჯავრდებულთა სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაზე ზრუნვა; სტრესის მართვა; ფსიქოდრამა; ძალადობის რაობა; მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადება¹⁵.

ეს ყოველივე აუცილებელია პირის გამოსწორებისათვის და მისი ცხოვრების

15. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (კრებული: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში), თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, 349-350.

გზის შეცვლისათვის. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია რაღაც ინტერესი, რომელსაც შეიძლება ჩაებღაუჭოს და გაუჩნდეს სურვილი საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის. ზოგისთვის ეს იქნება სპორტი, ზოგისთვის რაიმე პროფესიის დაუფლება, ზოგისთვის ანაზღაურებადი სამსახური, ზოგისთვის ბიბლიოთეკაში წიგნების კითხვა ან კონკრეტული განათლების მიღება და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა. ყველაფერთან ერთად, ფსიქოლოგის დახმარება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფური თანადგომის გზით, აუცილებლად გამოიღებს შედეგს და მსჯავრდებულს შეეცვლება კრიმინალური ინტერესები. მით უფრო, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ შეეძლება მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს და დასაქმდეს კონკრეტულ დაწესებულებაში. პატიმრების ცხოვრების სტილისა და მიზნების ცვლილება კი გამოიწვევს საზოგადოებაში მათდამი დამოკიდებულებისა და შეხედულებების შეცვლას, რაც გააქრობს დღეს არსებულ სტიგმას „ნაციონრობასთან“ დაკავშირებით.

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეცდომა ყველამ შეიძლება დაუშვას და გახდეს გარკვეული გარემოებების მსხვერპლი. თუმცა ვინაიდან სამყაროში ყველაფერი წარიმართება დიალექტიკური პროცესისა და ლოგიკის მიხედვით, ადამიანში ისევეა კარგი, როგორც ცუდი. გააჩნია, რომლის განვითარებას უწყობს ხელს გარემო ფაქტორები. შესაბამისად, თუ ჩვენ ადამიანში დადებითს დავინახავთ და ამ მიმართულებით შევუწყობთ ხელს მის განვითარებას, საზოგადოებაში კრიმინალის დონე დაიწევს და სამართალმორჩილება ამაღლდება. ეს ყოველივე კი სახელმწიფოს უნდა უღირდეს გარკვეული ფინანსების გაღებად.

დასკვნა

- შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ლიბერალიზაცია და საპატიმრო სასჯელების ჰუმანიზაცია მოასწავებს განვითარების ახალ სტადიას, რომელსაც შეუძლია საზოგადოება პროგრესულ გზაზე გაიყვანოს, რაც შეცვლის ქვეყანაში ხალხის (მოსახლეობის) ცნობიერებას და დაწევს კრიმინალის დონეს.
- ამისათვის საჭირო იქნება ლეგიტიმური მეთოდების გამოყენება – „სამართლის მზომელობის“, „სამართლით მზომელობის“ და „სამართლისათვის მზომელობის“ ფორმით.
- ასევე ეს გახლავთ ციხეებში სტანდარტებისა და მიდგომების დახვეწა-განვითარება, რაც, საბოლოოდ, ასევე მზომელობითი მეთოდების შესაძლო გამოყენებასა და მომარჯვებას მოითხოვს.



19. სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2007, თბ.

უცხოურენოვანი ლიტერატურა

20. Andrew Ashworth., Sentencing and Criminal Justice, Fifth edition, Cambridge University Press, New York., 2010.
21. Lex Talionis ., The Torah – A Modern Commentary, New York: Union American Hebrew Congretions, plaut., 1981.
22. Hans Kelsen., Vergeltung und Kausalität., Hague., 1941.
23. Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве, М., 1961.
24. Угрехелидзе М. Угловний закон – опыт теоретического моделирования., М., 1987.
25. Угрехелидзе М., От легиметрии до правовой дименсиологии. ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, თბ., 2011, N3.
26. Ugrekhelidze M., Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zwietes Deutsch-Sovietishces Kolloquium über Recht und Kriminologie (B2)., “Nomos“- ის გამომცემლობა., ბადენ-ბადენი., გერმანია., 1984.